

დამტკიცებულია:

შპს „ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა“

დირექტორი მალხაზ გვიჩია

ბრძანება №2/65; 05.08.2024 წელი



შპს „ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა“

სკოლის განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმა (2022-2029 წწ)

შესავალი

შპს „ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა“ წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს დაწესებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლა ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის გამოყენებით და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით, უზრუნველყოფს მომავალი თაობის განათლების მაღალ ხარისხს. დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით სკოლამ, მის მიერ აღიარებული ფუნდამენტალური ღირებულებების გათვალისწინებით, შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს 2022-2028 წლების გრძელვადიან სამოქმედო გეგმას, რომელიც გათვლილია ექვსწლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სკოლის მატერიალური ბაზის სრულყოფას და მის მოყვანას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, სასკოლო დოკუმენტაციის მოწესრიგებას და ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, აკადემიური მოსწრების ამაღლებას, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნორმების დამკვიდრებას.

სკოლის მისია

აღზარდოს თანამედროვე ცოდნითა და ეროვნული თვითშეგნებით აღჭურვილი შემოქმედი მოქალაქე, რომელიც წარმატებული იქნება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თითოეულ მოსწავლეში აღმოაჩინოს განსაკუთრებული უნარები, გააღვივოს მათში შემოქმედებითი აზროვნება.

სკოლის ხედვა

ახლო მომავალში სკოლა თავს ხედავს, როგორც სამეგრელოს რეგიონში ერთ-ერთ წარმატებულ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უპასუხებს XXI საუკუნის გამოწვევებს სწავლა-სწავლების პროცესის ინოვაციურობით და STEAM-ის საგნების გაძლიერებული სწავლებით.

სკოლის ღირებულებები

სკოლა მოქმედებს განათლების სფეროში აღიარებული ღირებულებებით:

- ✓ პროფესიონალიზმი
- ✓ კრეატიულობისა და ინოვაციურობის წახალისება
- ✓ ღიაობა და გამჭვირვალობა

- ✓ გუნდურობა და პასუხისმგებლობა;
- ✓ ბავშვთა უფლებების დაცვა
- ✓ ტოლერანტობა
- ✓ ჯანსაღი ცხოვრება
- ✓ უსაფრთხოება
- ✓ ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი

SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ✓ თანამედროვე სტანდარტებს მორგებული უსაფრთხო სასწავლო გარემო;
- ✓ ტოლერანტობის მნიშვნელოვანი კერა;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციაში მუშაობს ორი ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001-ის სერტიფიცირებული შიდა აუდიტორი;
- ✓ მაღალკვალიფიცირებული მასწავლებლები მ.შ. 2 წამყვანი და 19 უფროსი მასწავლებელი;
- ✓ გამართული საქმისწარომების წესი;
- ✓ სწავლის შედეგები;
- ✓ წარმატებულ პედაგოგთა წახალისება;
- ✓ მრავალფეროვანი წრეები;
- ✓ მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა - 2017 წელი, 50 მოსწავლე - 2022 წელი 178 მოსწავლე;
- ✓ კლასგარეშე ღონისძიებების აქტივობები.

სუსტი მხარეები:

- ✓ მშობელთა დაბალი გადამხდელუნარიანობა;
- ✓ საჯარო სკოლებისაგან განსხვავებული მცირე ვაუჩერი.
- ✓ მასწავლებელთათვის სერტიფიცირების დანამატის არარსებობა

შესაძლებლობები:

- ✓ სწავლის ხელმისწვდომი გადასახადი;
- ✓ მასწავლებელთა წახალისების სისტემა;
- ✓ ეკოლოგიურად სუფთა სასკოლო სასწავლო გარემო;
- ✓ ტოლერანტობა - ქართულ მუსლიმან და ქრისტიან მოსწავლეთა თანაცხოვრება.

საფრთხეები:

- ✓ ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა;
- ✓ სკოლაში დასაქმებული კადრების დაუგეგმავი გადინება

| № | გასატარებელი ღონისძიებები | შესრულების დრო | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შენიშვნა |
|---|---|-------------------------|---|--|
| 1 | <p>ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადება და კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ:</p> <p>სკოლის მისიისა და მიზნის, შინაგანაწესის, დებულების, სასკოლო სასწავლო გეგმის, ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების, საგნობრივი კათედრების, გრიფირებული სახელმძღვანელოების დამ ტკიცების, პედსაბჭოს სამუშაო გეგმის, კლასის დამრიგებლებისა და სადამრიგებლო პროგრამის, საათობრივი ბადის, ინკლუზიური განათლების დებულების, სასწავლო წლის კალენდრის, სასკოლო შეფასების ფორმების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემისა და ქულათა გამომანგარიშების წესის რედაქტირება და საჭიროების შემთხვევაში დამტკიცება.</p> | VI-VIII 2022 წელი | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღზრდელით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი-საკმის მწარმოებელი, საგნობრივი კათედრები, ბიბლიოთეკარი კლასის დამრიგებლები | მონიტორინგი განხორციელდება პერმანენტულად, ღონისძიების შინაარსიდან გამომდინარე. |
| 2 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, სპორტული დარბაზისა და სპორტული მოედნის კეთილმოწყობა | 2022-2023 სასწავლო წელი | დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი | შესრულებულია |
| 3 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება (ინვენტარის შეძენა, სტენდის მოწყობა, ცეცხლმაქრების დამუხტვა). | 2022-2023 სასწავლო წელი | დირექტორი, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის გამგე | შესრულებულია |
| 4 | შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება | 2025-2026 სასწავლო წელი | დირექტორი | |
| 5 | სამედიცინო ოთახის მოწყობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით, მედიკამენტებით. | 2022-2023 სასწავლო წელი | დირექტორი, სკოლის ექთანი | შესრულებულია |
| 6 | სათვალთვალო ვიდეო კამერების დამატებით შეძენა და მონტაჟი სკოლის შიდა და გარე პერიმეტრებზე. | 2022-2023 სასწავლო წელი | დირექტორი, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერი | შესრულებულია |

| | | | | |
|----|---|-------------------------------------|---|--------------|
| 7 | სკოლის ელექტროდენით, გაზომომარაგებით, ინტერნეტით, წყალმომარაგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, შესაბამის ორგანოებთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება. | 2022-2023 სასწავლო წელი | სკოლის დირექტორი ბუღალტერი- საქმისმწარმოებელი | შესრულებულია |
| 8 | სკოლის ვებგვერდის განახლება. | 2022 - IX | სკოლის ადმინისტრაცია, IT მენეჯერი | შესრულებულია |
| 9 | ქიმია-ფიზიკისა და ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის და კაბინეტის მოწყობა. | 2022 - IX | სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები | შესრულებულია |
| 10 | სასკოლო ინვენტარის (მერხების, სკამების დაფების, პროექტორის ეკრანის, პროექტორი და სხვა) შეძენა, დამზადება, განახლება | 2022 VIII- IX | დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ბუღალტერი-საქმის მწარმოებელი | შესრულებულია |
| 11 | ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით შევსება | 2022-2023 სასწავლო წელი | სკოლის ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკარი | შესრულებულია |
| 12 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ინკლუზიური განათლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების ადაპტირებული გარემოს შექმნა. (პანდუსი, სანიტარული წერტილი), რესურს ოთახის მოწყობა – აღჭურვა აუცილებელი თვალსაჩინოებით და ტექნიკური საშუალებით. | 2022 - IX | დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე | შესრულებულია |
| 13 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ინკლუზიური განათლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების სრულად ადაპტირებული გარემოს შექმნელად ლიფტის მონტაჟი | 2024-2028 სასწავლო წელი | დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე | |
| 14 | სკოლის მონაცემთა ბაზაში სათანადო ინფორმაციის განახლება. (მონაცემები სკოლის მატერიალური ბაზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტიგენტის და სხვათა შესახებ). | IX 2022 წელი | დირექტორი, IT მენეჯერი, ბუღალტერი- საქმის მწარმოებელი | შესრულებულია |
| 15 | სხვადასხვა სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება | XI 2022 წელი | სკოლის ადმინისტრაცია | შესრულებულია |
| 16 | მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან სკოლის დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული ხელშეკრულებების გაფორმება. | ყოველი ახალი სასწავლო წლის IX | სკოლის დირექტორი, ბუღალტერი-საქმის მწარმოებელი | |

| | | | |
|----|--|---|---|
| 17 | სერთიფიცირებულ მასწავლებელთა კადრებით სკოლის დაკომპლექტება. სათანადო კონკურსების ორგანიზება | ყოველი სასწ. წლის დასაწყისში | სკოლის ადმინისტრაცია |
| 18 | სასკოლო და საქალაქო ღონისძიებების ორგანიზება | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები |
| 19 | სკოლის მოსწავლეთა ორგანიზებული დასწრება სპექტაკლებზე, კინოფილმებზე, შემეცნებით-აღმზრდელიობითი დანიშნულების სხვა ღონისძიებებზე | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები |
| 20 | შიდა სასკოლო კვირეულების, მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები |
| 21 | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის საჯარო სკოლებში ზუსტი მეცნიერებების მიდრეკილების მქონე მოსწავლეთა მოძიება | სასწავლო წლის განმავლობაში | სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი |
| 22 | მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება (ტრენინგები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრე ბა, შიდასასკოლო მონიტორინგი და სხვა). | ყოველწლიურად (სემესტრულად) | სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელიობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, საგნობრივი კათედრები |
| 23 | ფოთისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობების გაცნობის მიზნით კლასგარე შე და სკოლის გარეშე ღონისძიებების ორგანიზება. | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები |
| 24 | მასწავლებელთა ახალი დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოებით და ინტერნეტრესურსებით უზრუნველყოფა | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, IT მენეჯერი, ბიბლიოთეკარი |
| 25 | მოსწავლეთა სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების მონიტორინგი | ყოველწლიურად (სასწავლო წლის განმავლობაში) | სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი |
| 26 | საგნობრივი და სპორტული წრეების მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი. სპორტის პრიორიტეტული სახეობების არჩევა და სათანადო ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები |

| | | | | |
|----|--|--|---|--------------|
| 27 | სადამრიგებლო პროგრამის, დამრიგებელთა აღმზრდელობითი სამუშაო გეგმების მომზადება, განახლება, დამტკიცება. | ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში | პედაგოგიური საბჭო | |
| 28 | სასკოლო-სასწავლო დოკუმენტაციის, საკანცელარიო მასალები, ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები, მეთოდური ლიტერატურა და სხვა) შექმნა. | ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში | დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ბუღალტერი-საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი | |
| 29 | შიდასასკოლო და საქალაქო სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობა, საოლიმპიადო ჯგუფების დაკომპლექტება | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები | |
| 30 | <ul style="list-style-type: none"> ❖ შემაჯამებელი ტესტირებების მონიტორინგი; ❖ შეფასების კომპონენტების მონიტორინგი; ❖ სემესტრულ გამოცდების მონიტორინგი; ❖ სადამრიგებლო პროგრამების მონიტორინგი; ❖ საგნობრივი კათედრების მუშაობის მონიტორინგი; ❖ კლუბური მუშაობის მონიტორინგი; ❖ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მონიტორინგი; ❖ სასკოლო პროგრამის შესრულების მონიტორინგი | ყოველწლიურად, სასწავლო წლის განმავლობაში | სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი | |
| 31 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ეზოს კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების გაშენება და სხვა). | 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში | სკოლის ადმინისტრაცია | შესრულებულია |
| 32 | სწავლების ხარისხის ახალი სტანდარტების შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში ჩართვა | სისტემატიურად | ხარისხის მართვის მენეჯერი, საგნობრივი კათედრები | |
| 33 | მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა. განვითარების დინამიკის დადგენა, რეიტინგის განსაზღვრა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება | სასწავლო წლის განმავლობაში(სემესტრულად) | ხარისხის მართვის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, საგნობრივი კათედრები | |
| 34 | სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება, მოტივაციის გაზრდა წახალისების სხვადასხვა ფორმებით; სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა წახალისება. | ყოველწლიურად | სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, საგნობრივი კათედრები | |

| | | | | |
|----|---|----------------------------|---|--------------|
| 35 | საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა და განვითარება. სკოლასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციული ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება. | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, IT მენეჯერი | |
| 36 | სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობა და აღჭურვილ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიზუალური ტექნიკით). | 2022-2027 სასწავლო წელი | დირექტორი, IT მენეჯერი, ინგლისური ენის მასწავლებელი | |
| 37 | ზრუნვა პედაგოგიური პოტენციალის ხარისხობრივ ზრდაზე. მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებისათვის ხელისშეწყობა. პედაგოგთა ვაკანტური ადგილების კონკურსის წესით შევსება. | ყოველწლიურად | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, საგნობრივი კათედრები | |
| 38 | სკოლის ახალი შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. | 2022 წლის VI-IX | სკოლის ადმინისტრაცია | შესრულებულია |
| 39 | სკოლის შენობის მეოთხე სართულზე მოსწავლეთა პანსიონატის მოწყობა | 2025-2026 სასწავლო წელი | სკოლის დირექტორი | |
| 40 | ფსიქოლოგის კონსულტაციების დანერგვა მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლებისთვის. ფსიქოლოგის აყვანა | 2023-2024 სასწავლო წელი | მოწვეული ფსიქოლოგი | შესრულებულია |
| 41 | კონტაქტების დამყარება საქართველოში არსე ბულ ფიზიკა-მათემატიკურ სკოლებთან, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით. | ყოველწლიურად | სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრა, საგნის მასწავლებელი | |

სამოქმედო გეგმის ამოცანათა განხორციელების მონიტორინგი

| ამოცანის № | ინდიკატორი | სტატუსი | | | | | რეკომენდაცია |
|------------|------------|---------|--|--|--|--|--------------|
| | | | | | | | |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |
| 6 | | | | | | | |
| 7 | | | | | | | |
| 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | | |
| 10 | | | | | | | |
| 11 | | | | | | | |
| 12 | | | | | | | |
| 13 | | | | | | | |
| 14 | | | | | | | |
| 15 | | | | | | | |
| 16 | | | | | | | |
| 17 | | | | | | | |
| 18 | | | | | | | |
| 19 | | | | | | | |
| 20 | | | | | | | |